



ონის მუნიციპალიტეტის მერია



ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი

N 417
21/03/2018

417-02-4-201803211518



ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი ადგილობრივი საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების“ საქართველოს იუსტიციის 2007 წლის 15 ივნისის N174 ბრძანების 69-ე მუხლის მე-14 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის სამუშაოთა ორგანიზებისა და ჩატარების, მათი ქუთაისის ცენტრალურ არქივში შენახვისათვის გადასაცემად მომზადების მიზნით **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას მუდმივმოქმედი ადგილობრივი საექსპერტო კომისია ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის სამუშაოთა ორგანიზებისა და ჩატარების, მათი ქუთაისის ცენტრალურ არქივში შენახვისათვის გადასაცემად შემდეგი შემადგენლობით:

ლევან შერაზადიშვილი	მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
ქეთო ტყეშელაშვილი	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საარქივო მომსახურების საკითხებში, კომისიის მდივანი;
იზა რეხვიაშვილი	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;
დარეჯან ლობჯანიძე	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი;
მარი მაისურაძე	სსიპ ეროვნული არქივის ონის ადგილობრივი წარმომადგენელი, კომისიის წევრი;

2. ბრძანების ერთი ეგზემპლარი გაიგზავნოს ქუთაისის ცენტრალურ არქივში და სსიპ ეროვნული არქივის ონის ადგილობრივ წარმომადგენელთან.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროსესო კოდექსი“-ს თანახმად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე



მუნიციპალიტეტის მერი